

## 9. ინფორმაცია მეორე გამოცემის შესახებ

ნაშრომის პირველი გამოცემის (1999–2003) შემდეგ ცხრა წელი გავიდა, რამაც აუცილებელი გახდა ნაშრომის გადახედვა დღევანდელი თვალსაწიერიდან და მასში სათანადო ცვლილებების შეტანა. ეს ცვლილებები შეეხო:

- უპირველესად ნაშრომის შინაარსს, რომელიც კიდევ ერთხელ გადაისინჯა გერმანისტული ლინგვისტიკის თანამედროვე პოზიციებიდან: ნაშრომი გაიზარდა 450 გვერდით მასში ახალი თავებისა და მონაკვეთების შეტანის, აქტუალური ინფორმაციით გამდიდრების ხარჯზე; მოხდა ცალკეულ საკითხთა ზედმინევენითი სპეციფიკაცია-დიფერენციაცია, სრულყოფა თეორიული მსჯელობებით. შედეგად ნაშრომმა უფრო მონოგრაფიული ხასიათი შეიძინა.
- საილუსტრაციო მასალას, რომელიც შეივსო ახალი ნიმუშებით; მოძველებული, ამასობაში უკვე ისტორიად ქცეული რეალიები ჩანაცვლდა აქტუალურით; უკლებლივ ყველა ნიმუშს დაერთო პნკარედული თარგმანი; ტექსტის გერმანული ნაწილი აიწყო ახალი მართლწერის რეფორმის საბოლოო ვერსიის (2007 წლის აგვისტოს მონაცემების) გათვალისწინებით; რეფორმით ნაგულისხმევი ცვლილებები – მკითხველის დაბნეულობის თავიდან აცილების მიზნით – ასევე შეეხო პრესიდან და მხატვრული ლიტერატურიდან შერჩეულ ძველ ნიმუშებსაც, მიუხედავად მათთვის ავტორისეული სტილის შენარჩუნების აუცილებლობისა.
- ნაშრომის სტილს, რომელიც უფრო დახვეწილი, ლაკონიური გახდა. შეძლებისდაგვარად აღმოიფხვრა ასევე კორექტურული უზუსტობები და კომპიუტერული ხარვეზები.
- წიგნის დიზაინსა და პოლიგრაფიულ მხარეს; მოხმარების თვალსაზრისით წიგნს მკითხველისთვის უფრო მოსახერხებელი ფორმატი მიეცა; გაუმჯობესდა გარეკანი, დაიხვეწა დაკაბადონების პრინციპი, რამაც მეტი გამომსახველობა შესძინა მთელ ტექსტს და მკითხველისთვის ვიზუალურადაც უფრო ადვილად აღსაქმელი გახდა იგი.